

საქართველოს
დაპროზიხების დაზღვევის სააბენბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2019 წლის წლიური ანგარიში

ივნისი, 2020 წელი


სარჩევი

შესავალი.....	3
სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მისია და ღირებულებები	4
სისტემის წევრი ბანკები.....	6
სააგენტოს მიერ 2019 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა	8
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები	8
დეპოზიტების ცვლილების ტენდენცია	8
სადაზღვევო ზღვარი, დაფარვის კოეფიციენტი და ფონდის ანაზღაურებისუნარიანობა	10
დეპოზიტების დაზღვევის ფონდი და პორტფელის მართვა.....	11
ცვლილებები დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში	14
მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავების პროცესი	15
კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება.....	17
მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისია	18
გარე აუდიტი	18
განვითარების სტრატეგია 2020-2023	19
2019 წელს შესრულებული სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები.....	19
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობა.....	20

შესავალი

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 2018 წლიდან ამოქმედდა და ის უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედ ნებისმიერ კომერციულ ბანკში განთავსებული ფიზიკური პირების ყველა სახის დეპოზიტების დაზღვევას 5 000 ლარამდე ზღვრის ფარგლებში. დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტორების დაცვას დაზღვეული დეპოზიტების დაკარგვისგან (გარანტირებულად ანაზღაურებადი თანხის კონკრეტული ოდენობით) იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს ექმნება ანაზღაურების პრობლემა.

დეპოზიტების დაზღვევა პრუდენციულ რეგულირებასთან, ლიკვიდურობის მხარდაჭერასთან და ეფექტიან ზედამხედველობასთან ერთად, ფინანსური უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია.




დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტი, დანერგილია და მოქმედებს მსოფლიოს 146 ქვეყანაში. ის უზრუნველყოფს, როგორც თითოეული დეპოზიტორის დაცულობას, ისე მთლიანად ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ნებისმიერ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

მასობრივი მფლავარების და პრობლემის სხვა ბანკებზე გადაცემის რისკების შერბილება. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამალღებს საზოგადოებრივ ნდობას საბანკო სექტორის მიმართ და შესაბამისად, სტიმულს აძლევს დანაზოგების ზრდას.


საქართველოში სისტემის შემოღება გათვალისწინებული იყო, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით. სისტემა დაინერგა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და რეგულირდება 2017 წლის 17 მაისს მიღებული საქართველოს კანონით „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მისია და ღირებულებები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მართვისა და ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებით, ჩამოყალიბდა სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო (სააგენტო). სააგენტო, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უფროსის ჩათვლით შტატით გათვალისწინებული 5 თანამშრომლით არის დაკომპლექტებული, მათ შორის ფინანსური ექსპერტი, ანაზღაურების ექსპერტი, იურისტი და ადმინისტრაციის სპეციალისტი. სააგენტოს ასევე ჰყავს ხელშეკრულებით დასაქმებული შესყიდვების და ფინანსური მენეჯერები, ბიზნეს ანალიტიკოსი და საინფორმაციო ტექნოლოგიების კონსულტანტი.



სააგენტოს ზედამხედველობას უწევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და 2 დამოუკიდებელი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო. საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს ირჩევენ კომერციული ბანკები.



სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები, სააგენტოს ორგანიზებით, იმართება კვარტალურად. საბჭო პრეზენტაციის სახით იღებს ინფორმაციას სააგენტოს მიერ განხორციელებულ და მიმდინარე სამუშაოებთან, ასევე ფონდის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით; საბჭოსთან შეთანხმებით მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, თანხმდება კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები (ინსტრუქციები), სააგენტოს ბიუჯეტი და სხვა საკითხები.

სააგენტოს მისიაა, მცირე ადმინისტრაციული რესურსით და ეფექტიანი მართვით, უზრუნველყოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირება, სისტემის

წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა, მიზნების განხორციელება, ფუნქციონირების უწყვეტობა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საჯარო პოლიტიკის ისეთი მიზნებით, როგორებიცაა ფინანსური უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება, დეპოზიტორების დაცვა და საბანკო სექტორში სისტემური კრიზისის პრევენცია. სააგენტო უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი სისტემის დაახლოებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, მათ შორის დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითად პრინციპებსა და ევროდირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სისტემის წევრი ბანკები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებისას (2018 წლის 1 იანვარი) საქართველოში 16 კომერციული ბანკი ოპერირებდა. 2018 წელს სისტემას ერთი კომერციული ბანკი გამოეთიშა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია 15 კომერციული ბანკი (ცხრილი #1).

ცხრილი #1: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრი ბანკები, 2019 წლის 31 დეკემბერი

#	კომერციული ბანკი
1	სს "ბანკი ქართუ "
2	სს "ბაზისბანკი"
3	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
4	სს "ზირაათ ბანკი საქართველო"
5	სს "თიბისი ბანკი"
6	სს "იმბანკი საქართველო"
7	სს "კრედიტ ბანკი"
8	სს "ლიბერთი ბანკი"
9	სს "პაშა ბანკი საქართველო "
10	სს "პროკრედიტ ბანკი"
11	სს "საქართველოს ბანკი"
12	სს "სილქ როუდ ბანკი"
13	სს "ტერაბანკი"
14	სს "ფინკა ბანკი საქართველო"
15	სს "ხალივ ბანკი საქართველო"

სააგენტოს მიერ 2019 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში 15 კომერციული ბანკი ოპერირებს. „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, სისტემის წევრი ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია სააგენტოს ყოველთვიური ანგარიშგების სახით მიაწოდოს ინფორმაცია დაზღვეული დეპოზიტების შესახებ. ამავე ინსტრუქციის შესაბამისად ხდება ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის ოდენობის დაანგარიშება და დეპოზიტების დაზღვევის ფონდში გადახდა. როგორც ანგარიშგების წარდგენის, ისე სადაზღვევო შენატანის გადახდის ვადად განსაზღვრულია საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვი. სააგენტოში კომერციული ბანკებიდან მიღებული ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება.

დეპოზიტების ცვლილების ტენდენცია

2019 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 1.10%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მაისში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 3.93%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.58%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მაისის და დეკემბრის თვეში დაფიქსირდა და შესაბამისად 4.46% და 7.98% შეადგინა. #2 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	ივლ.19	აგვ.19	სექ.19	ოქტ.19	ნოვ.19	დეკ.19	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23,90	23,60	23,75	23,98	24,09	25,04	25,70	26,02	26,28	26,53	27,10	27,09	27,24	
თვიური ცვლილება, %		-1,27	0,64	0,99	0,46	3,93	2,65	1,23	1,02	0,95	2,16	-0,06	0,58	1,10
ფიზიკური პირების დეპოზიტები	12,50	12,22	12,43	12,50	12,75	13,32	13,66	14,16	14,25	14,44	14,81	14,88	15,07	
თვიური ცვლილება, %		-2,21	1,66	0,57	2,01	4,46	2,54	3,68	0,67	1,29	2,61	0,45	1,28	1,58
დაზღვეული დეპოზიტები	1,75	1,64	1,67	1,65	1,71	1,73	1,75	1,82	1,81	1,84	1,89	1,87	2,02	
თვიური ცვლილება, %		-6,10	1,59	-1,15	3,43	1,29	1,03	4,09	-0,43	1,56	2,67	-1,01	7,98	1,24

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 14%-ით გაიზარდა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტებმა 20,5%-ით მოიმატა, ხოლო მათ შორის დაზღვეულმა დეპოზიტებმა - 15,2%-ით. #3 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.17	დეკ.18	დეკ.19
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	19,76	23,90	27,24
კვარტალური ცვლილება, %		21,0	14,0
ფიზიკური პირის დეპოზიტები	10,66	12,50	15,07
კვარტალური ცვლილება, %		17,25	20,5
დაზღვეული დეპოზიტები	1,56	1,75	2,02
კვარტალური ცვლილება, %		12,4	15,2

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22,5%-ით არის გაზრდილი, აშშ დოლარში 19,86%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 11,9%-ით), ხოლო ევროში 19,9%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 14,7%-ით). #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში, აშშ დოლარში და ევროში, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.18	დეკ.19	დეკ.19 *
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ლარი	3,12	3,83	3,83
ცვლილება, %		22,5	22,5
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	8,18	9,80	9,15
ცვლილება, %		19,86	11,9
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ევრო	1,20	1,44	1,38
ცვლილება, %		19,9	14,7

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2019 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 95% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 13,39%. დაზღვეული დეპოზიტების 64% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 36% - უცხოურ ვალუტაში.

კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში 2019 წლის განმავლობაში გადახდილი რეგულარული სადაზღვევო შენატანის მოცულობა თვითრად საშუალოდ 1.21%-ით იზრდებოდა (ცხრილი #5). მაქსიმალური ზრდა (8.20%) 2019 წლის მეოთხე კვარტლის ბოლოს დაფიქსირდა და დეკემბრის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 1 596 328 ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის მონაცემს 14.8%-ით აღემატება.

ცხრილი #5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	ივლ.19	აგვ.19	სექ.19	ოქტ.19	ნოვ.19	დეკ.19	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	1,39	1,31	1,33	1,32	1,37	1,37	1,38	1,44	1,44	1,46	1,50	1,48	1,60	
თვითრად ცვლილება, %		-5,50	1,25	-0,78	3,46	0,11	1,14	4,01	0,47	1,38	2,36	-1,57	8,20	1,21

სადაზღვევო ზღვარი, დაფარვის კოეფიციენტი და ფონდის ანაზღაურების უზარაულობა

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ამ დროისთვის ზღვრის ოდენობა 5 000 ლარს შეადგენს. ეს არის თანხის ის მაქსიმალური ოდენობა, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღებს დაზღვეული დეპოზიტორი. აღნიშნული ზღვრის ფარგლებში სრულად დაზღვეულია დეპოზიტორების

(ფიზიკური პირები) 95% და ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობის - 13% (ცხრილი #6).

ცხრილი #6: დეპოზიტების ცვლილების დინამიკა, იანვარი - დეკემბერი, 2019

	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	ივლ.19	აგვ.19	სექ.19	ოქტ.19	ნოვ.19	დეკ.19
დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	1 643 175 852	1 669 294 990	1 650 143 876	1 706 787 972	1 728 802 603	1 746 534 330	1 817 934 135	1 810 035 086	1 838 251 333	1 887 325 406	1 868 170 692	2 017 232 275
ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	12 223 384 103	12 426 637 072	12 497 862 595	12 749 514 587	13 317 626 781	13 656 419 656	14 158 518 128	14 253 030 650	14 436 420 462	14 813 446 008	14 879 827 161	15 070 121 202
დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა / ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების მოცულობა	13,44	13,43	13,20	13,39	12,98	12,79	12,84	12,70	12,73	12,74	12,56	13,39

დაფარვის კოეფიციენტი საერთაშორისოდ აღიარებული ინდიკატორია, რომელიც ადარებს ფონდის სიდიდეს დაზღვეული დეპოზიტების მთლიან მოცულობასთან და განსაზღვრავს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ანაზღაურებისუნარიანობას. 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემების თანახმად, დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ანაზღაურებისუნარიანობა 1.62%-ია¹, რაც შესაბამისობაშია 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან და რელევანტურია სისტემის ორწლიანი არსებობისთვის. ამ დროისთვის ფონდში არსებული რესურსი საკმარისია იმისთვის, რომ სრულად აანაზღაუროს ერთდროულად 6 ყველაზე მცირე კომერციულ ბანკში, ხოლო ცალკე ბოლოდან 10 ნებისმიერ კომერციულ ბანკში დაზღვეული დეპოზიტები.

დეპოზიტების დაზღვევის ფონდი და პორტფელის მართვა

2019 წლის იანვარ-დეკემბერში დეპოზიტების დაზღვევის ფონდში ბანკების მიერ რეგულარული სადაზღვევო შენატანის სახით 16,787,387 ლარი აკუმულირდა. კუპონის სახით მიღებულმა შემოსავალმა კი 1,541,832 ლარი შეადგინა. დეტალური ინფორმაცია ფონდში აკუმულირებული სახსრების შესახებ მოცემული ცხრილში #7. აღნიშნული სახსრები, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და წლიური საინვესტიციო გეგმის შესაბამისად,

¹ აღნიშნული მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. გამოთვლაში არ არის ასახული დეკემბრის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მოცულობა, ვინაიდან ფონდში შენატანი ირიცხება ანგარიშგების მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მიემართება ინვესტირებაზე; ასევე ფონდიდან იფარება სააგენტოს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯი. ფონდის დაცულობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, სახსრების ინვესტირება მხოლოდ დაბალრისკიან აქტივებში, კერძოდ, სახაზინო ფასიან ქაღალდებში ხორციელდება.

ცხრილი #7: დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები, 2017-2019

წელი	პირველადი შენატანი	რეგულარული სადაზღვევო შენატანი	კუპონი	სულ
2017	1 600 000	0	0	1 600 000
2018	0	13 843 674	349 391	14 193 065
2019	0	16 787 387	1 541 832	18 329 219
სულ	1 600 000	30 631 060	1 891 223	34 122 284

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს 2019 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სახაზინო ფასიან ქაღალდებში 31,306,479 ლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა (ცხრილი #8). არსებული საინვესტიციო პორტფელის წლიური საშუალო შემოსავლის განაკვეთი 7,42%-ია, ხოლო ვადიანობა 3,18 წელი. 2019 წლის განმავლობაში ინვესტიციის შედეგად კუპონის სარგებლის სახით მიღებული შემოსავალი 1,541,832 ლარს შეადგენს.

ცხრილი #8: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს პორტფელი, დეკემბერი 2017 - დეკემბერი 2019

აუქციონის თარიღი	ნომინალური ღირებულება, ლარი	შესყიდვის ფასი, ლარი	ვადიანობა	სარგებლის პროცენტი	კუპონი (%)	დაფარვის თარიღი
27.12.2017	1 450 000,00	1 507 510,04	5 წელი	7,650	8,000	31.08.2022
24.01.2018	20 000,00	20 004,85	5 წელი	8,119	8,125	25.01.2023
21.02.2018	1 160 000,00	1 175 308,72	5 წელი	7,950	8,125	25.01.2023
21.03.2018	1 130 000,00	1 158 601,51	5 წელი	7,800	8,125	25.01.2023
25.04.2018	1 190 000,00	1 233 878,40	5 წელი	7,700	8,125	25.01.2023
27.06.2018	2 245 000,00	2 356 868,56	5 წელი	7,720	8,125	25.01.2023
08.08.2018	1 430 000,00	1 445 112,09	2 წელი	7,220	7,500	12.07.2020
22.08.2018	20 000,00	20 606,46	5 წელი	7,477	8,125	25.01.2023
12.09.2018	20 000,00	20 344,10	2 წელი	7,232	7,500	12.07.2020
12.09.2018	600 000,00	610 444,82	2 წელი	7,220	7,500	12.07.2020
10.10.2018	20 000,00	20 459,25	2 წელი	7,217	7,500	12.07.2020
10.10.2018	910 000,00	930 851,26	2 წელი	7,220	7,500	12.07.2020
10.10.2018	920 000,00	941 379,68	2 წელი	7,200	7,500	12.07.2020
14.11.2018	20 000,00	20 598,59	2 წელი	7,214	7,500	12.07.2020
14.11.2018	750 000,00	772 609,33	2 წელი	7,200	7,500	12.07.2020
14.11.2018	1 000 000,00	1 030 300,12	2 წელი	7,190	7,500	12.07.2020
12.12.2018	20 000,00	20 698,47	2 წელი	7,253	7,500	12.07.2020
12.12.2018	1 210 000,00	1 253 202,95	2 წელი	7,200	7,500	12.07.2020
15.01.2019	2 150 000,00	2 151 181,48	2 წელი	7,220	7,250	17.01.2021
12.02.2019	385 000,00	388 489,69	2 წელი	7,050	7,250	17.01.2021
26.02.2019	1 239 000,00	1 277 767,34	5 წელი	7,375	7,375	27.09.2023
12.03.2019	50 000,00	50 758,49	2 წელი	7,010	7,250	17.01.2021
08.04.2019	1 305 000,00	1 336 386,98	2 წელი	6,800	7,250	17.01.2021
11.06.2019	2 230 000,00	2 317 045,79	2 წელი	6,600	7,250	17.01.2021
25.06.2019	1 320 000,00	1 326 928,32	5 წელი	7,000	7,000	30.05.2024
13.08.2019	2 045 000,00	2 059 754,47	2 წელი	6,700	6,750	11.07.2021
10.09.2019	1 000 000,00	1 003 837,72	2 წელი	7,200	6,750	11.07.2021
10.09.2019	1 000 000,00	1 004 677,56	2 წელი	7,150	6,750	11.07.2021
24.09.2019	845 000,00	841 133,54	5 წელი	7,700	7,000	30.05.2024
22.10.2019	1 455 000,00	1 403 350,10	5 წელი	8,700	7,000	30.05.2024
12.11.2019	605 000,00	596 566,46	2 წელი	9,200	6,750	11.07.2021
10.12.2019	1 020 000,00	1 009 822,08	2 წელი	9,400	6,750	11.07.2021
სულ	30 764 000	31 306 479				

საჯაროობის პრინციპის დაცვით, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველთვიურად ქვეყნდება საინვესტიციო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალურ სხდომებზე განიხილება სააგენტოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები და პორტფელის მდგომარეობა.

ცვლილებები დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სააგენტომ მოამზადა ზღვრის გადახედვასთან დაკავშირებული ანალიზი და წინადადება. ზღვრის ოდენობის და სადაზღვევო პრემიის განაკვეთების განსხვავებული კომბინაციების რამდენიმე სცენარიდან, სამეთვალყურეო საბჭოსა და კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად, შეჯერდა ოპტიმალური გადაწყვეტილება. აღნიშნული გულისხმობს ზღვრის ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს დეპოზიტორთა უმრავლესობის სრულ დაცვას და მეორე მხრივ განაპირობებს სისტემის საიმედოობის და ეფექტიანობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ საბანკო სფეროში არსებული ზოგადი სტაბილური ვითარება და დადებითი დინამიკა იძლევა ფონდის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის რამდენიმე წლით გადავადების შესაძლებლობას.

ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული პოზიციით, ზოგადი ეკონომიკური სურათის, საბანკო სექტორში არსებული ვითარების და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ზღვრის ოპტიმალურ ოდენობად ამ ეტაპისთვის 15 000 ლარი განისაზღვრა. სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, გადაწყვეტილება ძალაში 2020 წლის 1 ივლისიდან შევა. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის განაკვეთი კანონით განსაზღვრული მაქსიმალური 0.067%-დან 0.03%-მდე შემცირდება ეროვნული ვალუტით დაზღვეული დეპოზიტებისთვის. განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილება განპირობებულია საბანკო სექტორისთვის ცვლილების ეფექტის შემსუბუქების მიზნით.

ზღვრის ოდენობის 15 000 ლარამდე გაზრდა წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს დაფარვის გასაუმჯობესებლად; ამავდროულად, ხელს შეუწყობს სისტემის სანდოობის და ფინანსური უსაფრთხოების კუთხით დეპოზიტების დაზღვევის მნიშვნელობის ზრდას.

აღნიშნული გადაწყვეტილება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, ეცნობა ასოცირების საბჭოს, რითაც ქართულმა მხარემ შეასრულა საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულება.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს სისტემაში იურიდიული პირების ჩართვას. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო და ის ძალაში 2020 წლიდან უნდა შევიდეს. დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში იურიდიული პირების ჩართვით ქართული მხარე ევროდირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებას შეასრულებს.

მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავების პროცესი

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ვალდებულია „ანაზღაურების ოპერატიულად გაცემის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს მართვის საინფორმაციო სისტემა და პროცედურები და არანაკლებ წელიწადში ერთხელ განახორციელოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის სიმულაცია“.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, 2019 წლის პირველ კვარტალში სააგენტომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის შექმნისთვის შესაბამისი კომპანიის შესარჩევად, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა კომპანია „ასეკო ჯორჯია“.

კომპანია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოებს ასრულებს სააგენტოსთან მუდმივი კომუნიკაციის და კოორდინაციის რეჟიმში, როგორც შეხვედრების, ისე ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის პირობებში. აღსანიშნავია, რომ სამუშაო პროცესში გამოვლინდა პირველადი ტექნიკური დავალების გარკვეული ნაწილების გარკვეული დახვეწისა და მოდიფიკაციის აუცილებლობა. ჩატარდა მნიშვნელოვანი ანალიტიკური სამუშაო - მომზადდა ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ყველა ამოცანის დეტალური აღწერა, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა როგორც დეველოპმენტის პროცესი, ისე საბოლოო პროდუქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კომპანიასა და სააგენტოს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რამდენიმე თვით გახაგრძლივდა პროდუქტის საბოლოო ჩაბარების ვადა - 2020 წლის მაისამდე.

ჩაბარებამდე ჩატარდება სტრეს-ტესტი, რომლის დროსაც სისტემა გამოიცდება სადაზღვევო შემთხვევისთვის მართვასა და დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებაზე.

მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ძირითადი პროცესების ავტომატიზაცია და სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის ინფორმაციის გაცვლის ერთიან სისტემაში მოქცევა. სისტემის არსებობას აქვს რიგი უპირატესობები:

- პროცესები სრულად ავტომატიზებულია - შესაბამისად მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანური შეცდომის ფაქტორი და საოპერაციო რისკი;
- იზოგება დიდი დროითი რესურსი - რამდენადაც ხდება ამოცანების მყისიერი შესრულება. კანონის ამჟამინდელი ჩანაწერით, ასანაზღაურებელი თანხების გამოთვლისა და კომპენსაციების გაცემისთვის სააგენტოს 20 კალენდარული დღე აქვს. აღნიშნული ვადა,

ევროდირექტივის შესაბამისად, 7 დღემდე უნდა შემცირდეს. დასახული ამოცანის ასეთ ვადაში შესრულება პროცესის ავტომატიზაციის გარეშე არარეალურია და ამასთან, ნებისმიერ სხვა ფორმატში მონაცემების დამუშავებას ყოველთვის თან ახლავს შეცდომების მაღალი რისკი;

- სისტემა უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას სასურველი კრიტერიუმების (თანხების მოცულობა, მოქალაქეობა, ვალუტა და ა.შ.) მიხედვით;
- სისტემით მოხდება სააგენტოსა და (ანაზღაურების პროცესის განმახორციელებელ) აგენტ ბანკს შორის ურთიერთობა და ანაზღაურებული დეპოზიტების რეესტრის წარმოება, რაც სააგენტოს მისცემს პროცესის მიმდინარე რეჟიმში მონიტორინგის შესაძლებლობას.

დეპოზიტების დაზღვევის სპეციალური კომპიუტერული პროგრამით ოპერირება სისტემის მართვისა და ფუნქციონირების საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას წარმოადგენს. პროგრამას ექნება 2 ძირითადი მოდული - ყოველთვიური ანგარიშგების და სადაზღვევო შემთხვევის მართვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანია უზრუნველყოფს სააგენტოსთვის უნიკალური პროდუქტის შექმნას; ასევე, 1 წლის მანძილზე გაწევს საკონსულტაციო და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებას და ჩართული იქნება პროგრამის გამოცდის პირველ სიმულაციურ ტესტში.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, დასრულდა მუშაობა „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციის პროექტზე. აღნიშნული დოკუმენტის შექმნა ასევე, წარმოადგენს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნას და მასში აღწერილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პროცესი და პროცედურები, მათ შორის მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. ინსტრუქცია, საბოლოო სახით, დამტკიცდება მართვის საინფორმაციო სისტემაზე მუშაობის დასრულების შემდეგ.

საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მართვის საინფორმაციო სისტემისა და ანაზღაურების ინსტრუქციის შემუშავებაში, სააგენტოს კონსულტაციას უწევს მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ექსპერტი.

კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უფლებამოსილია „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაცია გადაამოწმოს ადგილზე, დისტანციურად ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირის ან/და კომერციული ბანკების გარე აუდიტორების მეშვეობით“. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების პროცედურულად გამართვის მიზნით, შემუშავდა და სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2019 წლის 10 იანვრის ბრძანება #2-ით დამტკიცდა „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების წესი“.

გადამოწმების 2019 წლის გეგმის შესაბამისად, 4 კომერციულ ბანკში ჩატარდა ადგილზე გადამოწმება. პროცესში მონაწილეობდნენ სააგენტოს ფინანსური ექსპერტი, ანაზღაურების ექსპერტი და საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების წარმომადგენელი.

გადამოწმების პროცესში შემოწმდა ბანკების მიერ სააგენტოსთვის მიწოდებული ყოველთვიური ანგარიშგების შედგენის პროცესის გამართულობა, ლოგარითმის სიზუსტე და შესაბამისობა „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციით განსაზღვრულ პირობებთან. ყურადღება გამახვილდა ასევე მონაცემთა ბაზების სიზუსტეზე, საბანკო ბიზნეს-პროცესის გამართულობაზე და მასში ავტომატური გადამოწმების მექანიზმების არსებობაზე.

გადამოწმების შედეგების შესახებ ეროვნული ბანკის თანამშრომელთან კოორდინაციით მომზადდა ანგარიში, რომლის შემჯავებელ დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემოწმებული ბანკების მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებითი ხარვეზები არ არის გამოვლენილი და ფორმა 1/2/3-ის შედგენის პროცესი შეესაბამება ინსტრუქციის მოთხოვნებს. ანგარიში გაიგზავნა შესაბამის კომერციულ ბანკებთან.

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისია

2019 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, გახანგრძლივდა მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისია და მის ფარგლებში შესაბამისი თანამშრომლობა პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

წლის განმავლობაში, მისიის ფარგლებში, სააგენტოში ჩატარდა მსოფლიო ბანკის ექსპერტის 2 ვიზიტი. როგორც უშუალო ვიზიტებისას, ასევე ელექტრონული კომუნიკაციით, ექსპერტი სააგენტოს კონსულტაციას უწევდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავება, საკანონმდებლო ცვლილებები, სააგენტოს განვითარების სტრატეგია, ანაზღაურების შესახებ ინსტრუქციისა და კრიზისის მენეჯმენტის პოლიტიკის დოკუმენტების პროექტების შემუშავება.

თანამშრომლობა 2020 წელსაც გაგრძელდება. დაგეგმილია ექსპერტის სამუშაო ვიზიტი მართვის საინფორმაციო სისტემის პირველი სტრეს-ტესტის განხორციელების პერიოდისთვის.

გარე აუდიტი

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულია სააგენტოსთვის ყოველწლიური გარე აუდიტის ჩატარება.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ განახორციელა სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის და 2017 წლის დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო დასკვნის (ასს) შესაბამისად. დასკვნაში აღინიშნა, რომ სააგენტოს ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციას.

გარე აუდიტის დასკვნა საჯაროა და ის გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

განვითარების სტრატეგია 2020-2023

სააგენტომ შეიმუშავა საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2023 წლებისთვის. სტრატეგიის შემუშავებაში სააგენტოს მხარდაჭერა აღმოუჩინა მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ექსპერტმა.

სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სააგენტოს ხედვას უახლოესი 4 წლისთვის. სააგენტოს განვითარების, მის მიერ დასახული მისიისა და ხედვების მისაღწევად, ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა შემდეგი 4 ძირითადი სტრატეგიული მიზანი: 1) არსებული ფუნქციების გაძლიერება; 2) ევროდირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაახლოება; 3) დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება; 4) სააგენტოს საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერება.

დოკუმენტში ასევე, ჩამოყალიბებულია თითოეული მიზნის შესასრულებლად საჭირო ამოცანები და დროში გაწერილი აქტივობები.

აღნიშნული მიზნების განხორციელებით, სააგენტო, საკუთარი მანდატის ფარგლებში უზრუნველყოფს დაარსებიდან დღემდე შექმნილი სისტემის საფუძვლის გამყარებას, შემდგომ გაძლიერებას და განვითარებას.

2019 წელს შესრულებული სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები

საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მარეგულირებელი დირექტივის დებულებები „უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში. თუმცა, საქართველო უფლებამოსილია განიხილოს განსხვავებული ზღვარი, ვიდრე ეს ამ დირექტივით არის გათვალისწინებული და წარუდგინოს წინადადება ასოცირების საბჭოს, საქართველოში ადგილობრივი შიდა ბაზრის განვითარების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა“. აღნიშნული ვადა 2019 წლის ბოლოს ამოიწურა.

სააგენტომ შეასრულა საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულება და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, ასოცირების საბჭოს აცნობა სადაზღვევო ზღვრის ახალი ოდენობის განსაზღვრის თაობაზე და წარუდგინა ჩატარებული ანალიზი. ასოცირების საბჭომ დადებითად შეაფასა სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობა და ქართულ მხარეს აცნობა, რომ ახალ ზღვართან

დაკავშირებით შესაბამისი ცვლილება აისახება ასოცირების ხელშეკრულების დანართში. ამასთან, საბჭომ რეკომენდაცია გასწია ევროდირექტივით გათვალისწინებული დროებითი მაღალი ანგარიშების ქართულ კანონმდებლობაში ასახვასთან დაკავშირებით.

სააგენტომ, მსოფლიო ბანკის ექსპერტთან თანამშრომლობით, შეიმუშავა კრიზისების მართვის დოკუმენტის პროექტი, რაც კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას წარმოადგენს. 2020 წლის მეორე კვარტალში დოკუმენტზე მუშაობა დასრულდება.

ასევე, დასრულებულია მუშაობა „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციის პროექტზე. აღნიშნული დოკუმენტის შექმნა ასევე, წარმოადგენს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნას. მასში აღწერილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პროცესი და პროცედურები, მათ შორის მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. ინსტრუქცია, საბოლოო სახით, დამტკიცდება მართვის საინფორმაციო სისტემაზე მუშაობის დასრულების შემდეგ.

2019 წლის მეოთხე კვარტალში სააგენტომ, ასევე, შეიმუშავა და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინა 2020 წლის სამოქმედო გეგმა და საინვესტიციო გეგმა.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობა

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები გაწერილია შესაბამისი წლის ბიუჯეტით და ფინანსდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის სახსრებით. ფონდის შემოსავლების მთავარ ნაწილს წარმოადგენს კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული პირველადი შენატანები, რეგულარული სადაზღვევო შენატანები და საინვესტიციო საქმიანობისგან მიღებული სარგებელი. სააგენტოს აქვს ფონდის და ანგარიშსწორების ანგარიში ხაზინაში, რომლის საშუალებითაც ახორციელებს ანგარიშსწორებას კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს 2019 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებული სააგენტოს უფროსის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, შეადგენდა 876,200.0 ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 871,330.11 ლარი (ცხრილი #9).

ცხრილი #9: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო	გეგმა	ვალდებულება	გადახდა
ჯამი	876,200.00	874,455.13	871,330.11
ხარჯები	613,000.00	611,255.13	608,130.11
შრომის ანაზღაურება	267,300.00	267,226.72	267,226.72
საქონელი და მომსახურება	340,100.00	338,536.71	335,439.71
სოციალური უზრუნველყოფა	5,000.00	4,973.28	4,973.28
სხვა ხარჯები	600.00	518.42	490.40
არაფინანსური აქტივების ზრდა	263,200.00	263,200.00	263,200.00